ვოროშილოვგრადი. “ავანგარდის” სტადიონი. 22 მაისი.

“ზარია” (ვოროშილოვგრადი) - “დინამო” (თბილისი) - 0:1 (0:0).

“ზარია”: ტკაჩენკო, აბრამოვი, ჟურავლიოვი, პინჩუკი, ვასენინი, ფომენკო, კუზნეცოვი, სემიონოვი, ლისაკოვსკი, კუკსოვი, ბელოუსოვი (სტარკოვი).

“დინამო”: ურუშაძე, ჭელიძე, ებრალიძე, ხურცილავა, მაჩაიძე, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ილიადი (მჭედლიშვილი), ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ი. სამუსენკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 4:2 “ზარიას” სასარგებლოდ.

ამ მატჩამდე მეტოქეები ერთმანეთს რვაჯერ შეხვდნენ და ბალანსი აშკარად სტუმართა სასარგებლოდ იყო: მათ ოთხჯერ გაიმარჯვეს, ამდენივე თამაში კი ფრედ დამთავრდა. მაგრამ თუ მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობას გადავხედავთ, მაშინ “ზარიას” აქციები გაცილებით მაღლა ფასობს. მაგრამ ანგარიშგასაწევი იყო ის ამბავიც, რომ თბილისელები წლეულს აგრესიულად არიან განწყობილი სტუმრად.

მატჩის დასაწყისი უინტერესო გამოდგა. ბურთი ძირითადად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა. მეკარეებს დიდი ჯაფა არ დასდგომიათ. ერთადერთი სახიფათო მომენტი, რომელიც შეიძლებოდა გოლით დაგვირგვინებულიყო, შეიქმნა 35-ე წუთზე, როცა კუზნეცოვმა ძლიერად დაარტყა და ურუშაძემ მოასწრო ბურთის გადაყვანა კუთხურზე.

შესვენების შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ. 53-ე წუთზე მეკარის პირისპირ გაიჭრა ვ. ნოდია. გოლი თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ თბილისელი... მოცელეს. აშკარა 11-მეტრიანი საჯარიმოა, მაგრამ მსაჯის სასტვენი რატომღაც დუმს. შემდეგაც იყო უხეში თამაშის რეციდივები, მსაჯის რეაქცია კი ერთობ ნეიტრალური გახლდათ.

ის-ის იყო ფეხბურთელებიც და მაყურებლებიც თითქოს შეეგუვნენ ფრეს, რომ მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე გ. ნოდიამ გამარჯვების გოლი გაიტანა.

“ლელო”, 23 მაისი, 1971 წ.